რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ვაშნარში არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა

ვაჟა სადრაძე: „ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უნიკალური ძეგლი დასავლეთ საქართველოში. ერთი არის ციხეგოჯი. მეორე სწორედ ვაშნარია“.

მარი კოძოევი

გურიისთვის და არა მარტო გურიისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ძეგლის ვაშნარის ციხე-ქალაქის შესასწავლად არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა. წარსულში კვლევა–ძიების ჩატარების არაერთი მცდელობა ყოფილა, თუმცა საქმე ბოლომდე ვერც ერთ ჯერზე ვერ იქნა მიყვანილი. ამჯერად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, გურიის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით და სოფელ გურიანთის თავკაცების დიდი ენთუზიაზმით, სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ადრე შუასაუკუნეების ხანის ციხე ქალაქი, სამონასტრო კომპლექსი სოფელ გურიანთის ტერიტორიაზე მდებარეობს. მდინარეების სკურდუმისა და ნატანების შესართავთან გაშენებული კომპლექსი სავარაუდოდ მე-4 საუკუნით თარიღდება. მეცნიერების აზრით, აქ უნდა ყოფილიყო ციხე-ქალაქი, საკათედრო ტაძარი სამნავიანი ბაზილიკით, წამებულთა განსასვენებელი-მარტირიუმი.

პირველად კვლევა-ძიება 1949 წელს ცნობილ ქართველ არქეოლოგს–გერმანე გობეჯიშვილს დაუწყია. ამჟამად მიმდინარე სამუშაოებს არქეოლოგები ვაჟა სადრაძე, მერაბ ძნელაძე და ელგუჯა ღლიღვიშვილი აწარმოებენ. ცნობილი არქეოლოგები ვაშნარის ციხე ქალაქის შესახებ გვესაუბრებიან

ვაჟა სადრაძე: პირველად შემსწავლელი სამუშაოები დაიწყო

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №49 (10190), 5 დეკემბერი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

ბახმარო ზამთრის ექსტრემალური სპორტის მოყვარულებისა და პროფესიონალების მისაღებად ემზადება

კურორტი ბახმარო ევროპის ქვეყნებიდან ზამთრის ექსტრემალური სპორტის მოყვარულებს და პროფესიონალებს წლეულს პირველად უმასპინძლებს. ზამთრის საკურორტო სეზონის წინა მოსამზადებელი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

პროექტი, რომელიც გურიის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით ხორციელდება, ამა წლის თებერვალში დაიწყო და უკვე აქტიურ ფაზაშია.

„თოვლზე მავალი“ ტრანსპორტირებისთვის მზად არის. ერთი თოვლის ბორანი - Z1 და „სნოუქეთი“ ბახმაროში ტურისტების გადასაადგილებლად არის განკუთვნილი. ხოლო მეორე ბორანს - 8000, სამაშველო ფუნქცია აქვს.

ზამთრის სეზონზე ბახმაროში მყოფ ტურისტებსა და მომსახურე პერსონალს მართვის ინსტრუქტაჟს გერმანელი სპეციალისტები ჩაუტარებენ.

გურიის საინვესტიციო პოტენციალით თურქი ინვესტორები დაინტერესდნენ

გურიის საინვესტიციო პოტენციალით თურქი ინვესტორები დაინტერესდნენ. ამ მიზნით 30 ნოემბერს თურქული კომპანია „Betareks” – ის დამფუძნებელი ნეჯატ ონერი გურიას სტუმრობდა და გურიის გუბერნატორთან გია სალუქვაძესთან მოლაპარაკებები გამართა. შეხვედრაზე კომპანია „Betareks” – ის ბათუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკა „ჯეოფიბრესის“ წარმომადგენლებმა გია სალუქვაძისგან დეტალური ინფორმაცია მიიღეს ოზურგეთში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების შესახებ. ისაუბრეს ფაბრიკაში მუშახელის დასაქმებაზე, კოლეჯ „ჰორიზონტში“ დასაქმებულთა გადამზადების შესაძლებლობაზე და რეგიონში ინვესტიციების განხორციელებაზე. აქვე განიხილეს სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში გათვალისწინებული შეღავათებიც.

„ინვესტორები ქალაქ ოზურგეთში გეგმავენ ძაფსაგრეხი და სამღებრო კომპლექსის აშენებას. აქედან გამომდინარე, პირველ ეტაპზე 50-მდე ადგილობრივი დასაქმდება, ბათუმში არსებულ „ჯეოფიბრესის“ ფაბრიკაში, იქ გაივლიან პრაქტიკას, ხოლო ოზურგეთში საწარმოს გახსნის შემდეგ, როგორც კვალიფიციური კადრები, უკვე აქ განაგრძობენ მუშაობას. რეგიონში ყველანაირი პირობაა ინვესტიციების განსახორციელებლად და პროექტის წარმატებით განხორციელების საქმეში სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ ჩვენ ამ კომპანიას“ – თქვა გუბერნატორმა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქ ოზურგეთში არსებული საპრივატიზაციო ობიექტები, მოინახულეს პროფესიული კოლეჯი “ჰორიზონტი”, სადაც გადამზადდებიან ფაბრიკაში დასასაქმებელი მუშახელი.

კომპანია „ჯეოფიბრესი“ აჭარის დედაქალაქში, თამარის დასახლებაში მდებარეობს და ე.წ. მეტალოძაფების წარმოებასა და რეალიზებას ეწევა. მის მიერ წარმოებულ ძაფებს იყენებენ სპეცქსოვილების დასამზადებლად.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

შშმ პირებს 43 სამედიცინო ეტლი საჩუქრად გადაეცათ

გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, მოადგილეებთან ერთად „ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიობისა და სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარეს მაია კვეზერელი-კოპაძეს შეხვდა. გურიის სამხარეო ადმინისტრაციის, ოთხივე მუნიციპალიტეტისა და აღნიშნული ასოციაციის ერთობლივი ძალისხმევით „გურიაში მცხოვრებ შშმ პირებს 43 სამედიცინო ეტლი საჩუქრად გადაეცათ (8 - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 19 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 8 - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში და 7 - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში). მათი კოორდინირებული მუშაობის შედეგად ოზურგეთში არსებულ დღის ცენტრებს, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებსა და ხანდაზმულთა სახლს უფასოდ გადაეცათ ახალი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. სოციალურ მუშაკებსა და სპეციალისტებს ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგები. გურიის სამხარეო ადმინისტრაცია უკვე დიდი ხანია აღნიშნულ ასოციაციასთან თანამშრომლობს და მომავალშიც არაერთი პროექტის განხორციელებას გეგმავენ ერთობლივად. „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წარმოადგენს მოქალაქეთა არაპოლიტიკურ, არაკომერციულ, საქველმოქმედო, ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლის საქმიანობის მიმართულებებია ადამიანის უფლებების დაცვა, სამშვიდობო პროცესების ხელის შეწყობა და ქველმოქმედება.

ქალაქის მერმა სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს დანაპირები შეუსრულა

ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს როიალის შეძენა დაპირდა და დანაპირები შეუსრულა. ამ დრომდე მოსწავლეები საფორტეპიანო ხელოვნებას მოძველებული ინსტრუმენტით ეუფლებოდნენ.

28 ნოემბერს სკოლას ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძე და საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე სტუმრობდნენ. სადაც სტუმრებისთვის **''Gebr niendorf''** - ის ფირმის როიალზე მცირე საჩვენებელი კონცერტი შესრულდა.

VI კლასელმა გიორგი ცხომელიძემ, რომელიც პედაგოგ იზა სიხარულიძის მოსწავლეა, შოპენის XII ეტიუდი შეასრულა. ახალგაზრდა, ნიჭიერი მუსიკოსის შესრულებამ სტუმრების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

როგორც ბეგლარ სიორიძემ აღნიშნა, ქალაქ ოზურგეთის მერიისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ კულტურა და განათლებაა, რაშიც მნიშვნელოვან ადგილს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდებისთვის ხელის შეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა იკავებს.

გამოიწერეთ გაზეთი ალიონი“

ერთი წლით – 24 ლარი;
6 თვით – 12 ლარი;
3 თვით – 6 ლარი;
1 თვით – 2 ლარი

წყალტუბო პენსიონერთა სამსახურში

50-%-იანი შეღავათები

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მოქმედ 102 კურორტს შორის წყალტუბო ღირსეულ ადგილს იჭერს. წყალტუბოს სამკურნალო წყლებს ანალოგი არ მოეძებნება მთელ მსოფლიოში. ისინი გამორჩევიან საკმაოდ მდგრადი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, განეკუთვნებიან ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-სულფატურ, ნატრიუმიან, კალციუმიან, მაგნიუმიან წყლებს. ამ წყლების მაღალეფექტური სამკურნალო-პროფილაქტიკური მოქმედება განპირობებულია მათი ურთულესი შედგენილობით და შემცველი მარილების ძირითად კომპონენტთა თავისებური შერწყმით. წყალტუბოს წყლების ბუნებრივი ტემპერატურა (33-35 გრადუსი) იძლევა მათი გამოყენების საშუალებას წინასწარი შეთბობის გარეშე, ასაკის შეუზღუდავად.

წყალტუბოს წყლებით მკურნალობენ: საყრდენ-მამოძრავებელ, გულსისხლძარღვთა, ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური, კანის ენდოკრინულ დაავადებებს, ნივთიერებათა ცვლის მოშლას და სხვა.

იყო მომენტი, როდესაც წყალტუბოს ტერიტორიაზე გაჩეხეს ნეკერჩხლის, ცაცხვების კომიტების ხე-მცენარეები, მათ ნაცვლად კი დარგული იქნა პალმები.

მოგეხსენებათ, 1951 წლის ზაფხულში აბაზანების მისაღებად ჩამოსულმა გენერალისიმუსმა იოსებ ბესარიონის ძე სტალინმა სულისშემხუთავ სიცხეში სამ დღეზე მეტი ვერ გაძლო, რადგან ჩრდილს ვერსად შეაფარა თავი, სული რომ მოეთქვა და ბორჯომში გადაინაცვლა. ამის შემდეგ ისევ დაიწყეს წყალტუბოში ფოთლოვანი ხე-მცენარეების გაშენება.

სასიამოვნო და დასაფასებელია ის გარემოება, რომ 2016 წლის 18 ოქტომბერს დიდი ხელშეკრულება „ბალნეოსერვისის“ დირექტორ მზია ჟორჟოლიანსა და იმერეთის რეგიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ ბიჭიკო ზვიადაძეს შორის, რომ წყალტუბოს მინერალური და ბალნეოლოგიური წყლების მსურველები ისარგებლებდნენ 50%-იანი ფასდაკლებით.

იგივე ვრცელდება იმერეთისა და გურიის რეგიონულ ორგანიზაციებს შორის დადებული ქვეხელშეკრულებით, რაც ნიშნავს იმას, რომ გურიის პენსიონერები (რომლებსაც გაწევრიანების წიგნაკები გააჩნიათ) ისარგებლებენ იმავე მოცულობის ფასდაკლებით. კერძოდ, ერთი დღეღამე ფასდაკლებით დაჯდება: 1) ბინა – 10 ლარი, 2) კვება სამჯერადი – 15 ლარი, 3) აბაზანა - 3-4 ლარი. მსურველებმა დაგვიკრეკეთ ტელეფონზე: 599 71 50 20.

დამატებით ცნობებს ჩვენგან გაიგებთ.

გურამ ცერცვაძე,

გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

P. S. ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 15 ივნისამდე.

პროექტის „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“ ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭოს მორიგი სხდომა

სხდომას გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, გუბერნატორის სამივე მოადგილე და ოთხივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მერაბ ჭანუყვაძემ გახსნა და პროექტის მნიშვნელობაზე დეტალურად ისაუბრა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები: შესრულებული სამუშაოები და საჭიროებები, პროექტში მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენლებმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს. შეიქმნა პროექტის ლოგო და სლოგანი „რა ყოფილა გურია.“ პროექტი მიმართულია გურიის პოტენციალის გამოკვლევასა და შეფასებაზე, მოქალაქეთა მცირემასშტაბიანი აქტივობების მხარდაჭერაზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი რესურსებისა და რეგიონის ტურისტული პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას და ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასახელისუფლებო სექტორებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ასევე, მიზნად ისახავს გურიის ტურიზმის სექტორის მდგრადი და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პროექტი „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“, ევროკავშირის მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულია და ის გურიის ოთხივე მუნიციპალიტეტს აერთიანებს. „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის პროექტში ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაციები: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: რეგიონებისა და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლები; დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლები; საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლები; საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ვაშნარში არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა

1949 წელს. რომელსაც ატარებდა ცნობილი ქართველი არქეოლოგი გერმანე გობეჯიშვილი. ამის შემდეგ ვაშნარში რამდენჯერმე იყო ცდა ჩატარებულიყო არქეოლოგიური კვლევა-ძიება. აქ იყო ბათუმის ინსტიტუტიდან სამუშაო ჯგუფი თვით ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, რომლებმაც ეს მონაკვეთი დაათვალიერეს. ეს ხდებოდა 1964 წელს, სამწუხაროდ, მცირე ხნით, რადგან 1965-ში ნიკო ბერძენიშვილი გარდაიცვალა. ამიტომაც შეჩერდა სამუშაოები. იმ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩაის ფაბრიკის მშენებლობას. 1949 წელს, როცა გერმანე გობეჯიშვილმა ჩაატარა ფართომასშტაბიანი სამუშაოები ნაქალაქარის ერთ მონაკვეთში აღმოჩნდა ბაზილიკა, განსასვენებელი -მარტირიუმით, მავზოლეუმი, რამდენიმე სამარხი ბაზილიკის გვერდით, საგალავნო სისტემა კოშკებით, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს ციტადელს. თავისი აგებულებით, გეგმების მიხედვით ეს ნაქალაქარი, სამონასტრო კომპლექსი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს სირია-პალესტინის ტერიტორიაზე არსებულ სამონასტრო კომპლექსებთან. აქედან გამომდინარე, ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უნიკალური ძეგლი დასავლეთ საქართველოში. ერთი არის ციხეგოჯი. მეორე სწორედ ვაშნარია.

ძეგლი ითხოვს შველას, რადგან მისი დიდი ნაწილი უკვე დაზიანებულია და ჩაის ფაბრიკის ქვეშაა მოქცეული. ეროვნულმა საგანძურმ და ეროვნულმა მუზეუმმა დაგვავალა გვეწარმოებინა არქეოლოგიური სამუშაოები. იმედი გვაქვს, რომ სამუშაოები გაგრძელდება და გურიის რეგიონი მიიღებს ერთ ძეგლს, რომელიც ტურისტულ ქსელში ჩაერთვება და საკმაოდ დიდ სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ ადგილობრივებს, არამედ ტურისტულ საქმიანობას. გვერდში გვიდგანან გუბერნატორი, ბატონი გია სალუქვაძე, მეუფე იოსები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ადგილობრივი მცხოვრებლები და ამისთვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ მათ.

მერაბ ძნელაძე: ვაშნარის ციხე ქალაქის სახით არა მარტო გურია, არამედ მთელი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა შეიძენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლს. ძეგლი ცნობილი იყო 1949 წლიდან, მაგრამ შემდეგ დაკონსერვდა, შეივსო მიწით და საქართველოს ეს ერთ-ერთი უძველესი და ბრწყინვალე ტაძარი და ქალაქი მიწის ქვეშ აღმოჩნდა..

გურიაში არის ძალიან ბევრი საინტერესო ტოპონიმი. ტოპონიმი ეს თავისთავად ნიშნავს ადგილმდებარეობის სახელებს. არის სოფლების როგორც ქრისტიანული ხანის, მაგალითად ჯვართან, ეკლესიებთან დაკავშირებული სახელები ასევე უფრო ძველიც. ვგულისხმობ კოლხეთის და ძალიან ძველი დროის ამბებს. მაგალითად, გურიაში არის ტოპონიმი ბახვი თუ გინდ აიეტისთავი, ბუკისციხე, აკეთი მოდის კოლხეთის აკმეფისგან. ასეთი ბევრი ტოპონიმია და მათ შორის არის ვაშნარი. ვაშნარი ვაშლთან არაა დაკავშირებული როგორც კახური არაა კახელებთან დაკავშირებული, არამედ კახაბერთან. დროთა განმავლობაში ვკარგავთ ბევრ ტოპონიმს. საბჭოთა პერიოდში ბევრი ტოპონიმი შეიცვალა მაგალითად, მიქელ-გაბრიელს შრომა დაერქვა. ამ ადგილს მოიხსენიებდნენ როგორც ვაშინერი, სპონიეთი ზოგიერთი უჯერანსაც ეძახდა .თვითონ ვაშინერი ძველი სახელია და ძველქართულად დაკავშირებულია საკრალურ ადგილთან მიუკარებელთან. ეს ნიშნავს, რომ აქ მოსვლა საშიში იყო. იმდენად დაბურული იყო და შიშის ზარს ცემდა ძველი ნანგრევებიდან გამომდინარე. ვაშნარიც ამასთანაა დაკავშირებული, საშიშ მიუკარებელ ადგილთან. ეს ნაქალაქარი და ტაძარი ქართული ქრისტიანული ისტორიის ერთ-ერთ თავდაპირველ ძეგლს წარმოადგენს. სავარაუდოდ მეექვსე საუკუნეში აქ უკვე ნაქალაქარი იყო. სკურდუმისა და ნატანების ხერთვისი წარმოადგენდა ქალაქს. მეორე ნაწილი, როგორც ჩანს, ნატანების მეორე მხარეს იყო. საკვლევია ჯერ კიდევ ბევრი რამე. იყო რაღაც წინააღმდეგობები, რადგან რამდენიმე ათეული წელი ვერ მოხერხდა ამ უნიკალური ძეგლის წარმოჩენა.მისი დიდი ნაწილი მიწისქვეშაა ფაქტიურად საკურთხეველია მარტო გადარჩენილი ღვთის წყალობით. თუ კარგად გავწმინდთ, აქ იქნება კედლები ,სვეტები, ოთახები, სამარხები.

სამუშაოები გურიის გუბერნატორმა **გია სალუქვაძემ.** გუბერნატორის მოადგილემ **ქეთი მოისწრაფიშვილმა** და **მეუფე იოსებმა** მოინახულეს.

„ტურიზმის განვითარებისთვის ვაშნარის ძეგლი არის უნიკალური და მნიშვნელოვანი, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ მოეპოვება. ვფიქრობ, საზოგადოებამ უფრო მეტად უნდა გაიგოს ვაშნარის ისტორიისა და უნიკალურობის შესახებ. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ გადაწყვეტილებაში, რომელიც რეგიონის განვითარებისთვის იქნება საჭირო, მაქსიმალური მხარდაჭერა აღვუთქვათ" - აღნიშნა **გია სალუქვაძემ**.

გურიანთელები სოფლისთვის ძეგლის მნიშვნელობაზე საუბრობენ. სამუშაოებში აქტიურადაა ჩართული გამგებლის წარმომადგენელი **კოტე ჩიკაშუა** და დეპუტატი **ბონდო ღლონტი**.

ბონდო ღლონტი: ეს ძეგლი მარტო ჩვენი სოფლისთვის კი არა, მთელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ჩვენი, ყველას ვალია წვლილი შევიტანოთ ასეთ კარგ საქმეში .ჩემი თხოვნა იქნება, ვინც გაიგებს სამუშაოების შესახებ, რითაც შეუძლია წვლილი შეიტანოს მასში. ასეთი ძეგლები, ჩვენი კულტურა და სულიერება უნდა გადავარჩინოთ. უნდა მოვუაროთ და მოვეფეროთ. უფალი შეგვეწევა, უფლის მადლით ყველაფერი გამოგვივა.

კოტე ჩიკაშუა: მე მოვუწოდებ გურიანთლებს, რომ მონაწილეობა მიიღონ ძეგლის აღდგენით სამუშაოებში . დაინტერესება არის ადგილობრივი ხელისუფლებიდან , მცხოვრებლებიდან. სკოლის მოსწავლეებმაც მიიღეს ძეგლის გაწმენდაში მონაწილეობა.. ეს არის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი არა მარტო გურიისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის. მისი განსაკუთრებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არის ადრექრისტიანული ხანის ძეგლი. აქ ვხვდებით მავზოლეუმს, რაც არის ბიზანტიური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი და არ გვხვდება ჩვენს ძეგლებში.

ხუთდღიური

რუბრიკის პრემიერა

დღეიდან, დაიჯესტის ფორმატით, გთავაზობთ ახალ რუბრიკას „ხუთდღიური“, რომლითაც მოგაწვდით გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციებს რესპუბლიკური ცხოვრებიდან.

რა აინტერესებს ქართველ საზოგადოებას, ქუთაისელი მირანდა ვისგან ელოდება ბავშვს, თუ ის, რომ გალი ცხადდება სამხედრო ქალაქად?

გალის სამხედრო ქალაქად გამოცხადებას საქართველოსთვის საფთხის შემცველს უწოდებს არჩილ ჭყოიძე. როგორც „ერეკლე მეორის საზოგადოების" თავმჯდომარემ „რეპორტიორის" პრესკლუბში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ამ პროცესმა შემდგომში შესაძლოა გამოიწვიოს ქვეყნის სხვა ტერიტორიების ოკუპაციაც.

„რამდენიმე დღის წინ, გარკვეულმა დაჯგუფებამ მოითხოვა სამეგრელოს ავტონომიად გამოცხადება და გასვლა საქართველოს შემადგენლობიდან. ამას სიცილ-კისკისი მოჰყვა ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან - სულელები არიანო. არ შეიძლება ამ საკითხისადმი ასეთი არასერიოზული მიდგომა, ვინაიდან საქართველოს მტრებმა შესაძლოა სათავისოდ გამოიყენონ ასეთი ტიპის განცხადებები...

როცა გალი ცხადდება სამხედო ქალაქად და რუსეთს იქ შეჰყავს 1500 ჯარისკაცი, ქართული თოქ-შოუები იმაზე ლაპარაკობენ, ქუთაისელი მირანდა ვინ დაორსულა: ქმარმა, საყვარელმა თუ მეზობელმა. ეს უნდა იყოს საინტერესო? თუ ის, რომ ამ დიდ პრობლემაზე ფართო სატელევიზიო დისკუსიები გავმართოთ და ვიმსჯელოთ?

ეს აინტერესებს ქართველ საზოგადოებას, მირანდა ვისაგან ელოდება ბავშვს, თუ ის, რომ გალი ცხადდება სამხედრო ქალაქად? ან ის, პანკისის რომელიღაც სოფელში წინადაცვეთა ხდება თუ არა? ეს არის პრიორიტეტი? ამიტომ ასეთ მძიმე პირობებში, ჯობს, ჩვენ ვისაუბროთ აფხაზეთზე, სამაჩაბლოზე, დაკარგულ ტერიტორიებზე და არა იმაზე, ვინ ვის აფეხმძიმებს", - განაცხადა ჭყოიძემ.

მისი თქმით, აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლება გააქტიურდეს.

„პრემიერ-მინისტრი უნდა ჩასულიყო რუსეთში და უნდა დაეყენებინა საკითხი აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან და საერთოდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით... ამ თემებზე არავინ ლაპარაკობს, ამიტომ უფრო და უფრო შევდივართ ჩიხში..." - განაცხადა ჭყოიძემ.

ჯანელიძე: საქართველო და ევროკავშირი ერთნაირი ღირებულების მატარებლები არიან

„მივესალმებით განცხადებას, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველო და ევროკავშირი ერთი და იგივე ღირებულების მატარებლები არიან“, - ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მიხეილ ჯანელიძემ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესრულების შესახებ ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თაობაზე საუბრისას განაცხადა.

საგარეო უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მოცემული ანგარიში ცალსახად ხაზს უსვამს საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების წარმატებულ იმპლემენტაციას, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, თავისუფალ მედიას, სასამართლოს დამოუკიდებლობას, მეტ პროფესიონალიზმსა და ადამიანის უფლებების უკეთეს დაცულობას.

მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების წარმატებული იმპლემენტაცია ასევე უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ევროკავშირის ბაზარზე მეტი ექსპორტის შესაძლებლობების გაჩენას.

„მინდა მივესალმო იმ ძალიან პოზიტიურ ანგარიშს, რომელიც გამოქვეყნდა ევროკავშირის მიერ. ჩვენ მივესალმებით განცხადებას, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნულია რომ საქართველო და ევროკავშირი ერთი და იგივე ღირებულების მატარებლები არიან და ერთად ზრუნავენ ევროპის უსაფრთხოებაზე, მშვიდობაზე, განვითარებაზე და სტაბილურობაზე. საქართველო მოხსენიებულია, როგორც ევროკავშირისთვის დასაყრდენი უსაფრთხოების კუთხით. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ გლობალურ სტრატეგიაში საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.“-განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

ევროკავშირის მიერ საქართველოს შესახებ მომზადებული ასოცირების განხორციელების/შესრულების ანგარიში (**Association Implementation Report**) ასახავს 2015 წლის იანვრიდან 2016 წლის დეკემბრამდე პერიოდში საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს, - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

2017 წლის 1 იანვრიდან 100 ათას ლარამდე სესხები ლარში გაიცემა

პრემიერმინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მოქალაქეებს, რომლებსაც უძრავი ქონების უზრუნველყოფით სესხი დოლარში აქვთ აღებული, მის ლარში გადატანას შეძლებენ.

ამასთან, პრემიერის ინფორმაციით, 2017 წლის 1 იანვრიდან 100 ათას ლარამდე და შემდეგ წელს 200-მდე ათას ლარამდე სესხი მხოლოდ ეროვნული ვალუტით გაიცემა.

„ამ ნაბიჯით მთავრობა ერთჯერადად დაეხმარება ყველაზე დაზარალებულ ჯგუფს", - აღნიშნა პრემიერმინისტრმა.

„მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთდ შეიმუშავა ე.წ. ლარიზაციის გეგმა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ნაბიჯები.

ამ გეგმის მიხედვით, როგორც ერთჯერადი სოციალური აქცია, მოხდება 2015 წლის პირველ იანვრამდე ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარში გადატანა, არსებული კურსის მინუს 20 პუნქტის ოდენობით.

ერთ კლიენტზე, ერთ ბანკში, ასი ათას ლარამდე ნარჩევი თანხის სუბსიდია გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტში. მაგ, თუ კურსია 2,5 იქნება მოხდება ლარში კონვერტაცია კურსით 2,30.

ამ სესხებზე გაუქმდება წინასწარ დაფარვის საკომისიოც. ბანკები ვალდებული იქნებიან გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღეში შეტყობინება გაუგზავნონ ყველა კლიენტს,ვისაც ეს გადაწყვეტილება პოტენციურად შეეხება,რაც საგრძნობლად შეამცირებს ზეწოლას ლარის კურსზე", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მოქალაქეები 2015 წლის იანვრამდე დოლარში აღებულ სესხებს ლარში გადაიტანენ

პრემიერმინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მოქალაქეებს, რომლებსაც უძრავი ქონების უზრუნველყოფით სესხი დოლარში აქვთ აღებული, მის ლარში გადატანას შეძლებენ.

"მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთდ შეიმუშავა ე.წ. ლარიზაციის გეგმა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ნაბიჯები.

ამ გეგმის მიხედვით, როგორც ერთჯერადი სოციალური აქცია, მოხდება 2015 წლის

გვ-4

ხუთდღიური

მოქალაქეები 2015 წლის იანვრამდე დოლარში აღებულ სესხებს ლარში გადაიტანენ

პირველ იანვრამდე ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარში გადატანა, არსებული კურსის მინუს 20 პუნქტის ოდენობით.

ერთ კლიენტზე, ერთ ბანკში, ასი ათას ლარამდე ნარჩევი თანხის სუბსიდია გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტში. მაგ, თუ კურსია 2, 5 იქნება მოხდება ლარში კონვერტაცია კურსით 2,30.

ამ სესხებზე გაუქმდება წინასწარ დაფარვის საკომისიოც. ბანკები ვალდებული იქნებიან გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღეში შეტყობინება გაუგზავნონ ყველა კლიენტს, ვისაც ეს გადაწყვეტილება პოტენციურად შეეხება, რაც საგრძნობლად შეამცირებს ზეწოლას ლარის კურსზე", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

გუბაზ სანიკიძე ბურჯანაძის პარტიაში გაწევრიანდა

გუბაზ სანიკიძე „დემოკრატიული პარტიის“ წევრი ხდება. "ეროვნული ფორუმის“ ყოფილი წევრი მედიას თავად პარტიის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ წარუდგინა. ბურჯანაძის თქმით, სანიკიძის პარტიაში გაწევრიანებას პოლიტსაბჭოს ყველა წევრმა დაუჭირა მხარი. როგორც გუბაზ სანიკიძემ განაცხადა, მისი პრიორიტეტი საგარეო ურთიერთობების ყველა მიმართულებით განვითარება იქნება. გუბაზ სანიკიძემ ასევე აღნიშნა, რომ ნინო ბურჯანაძეს კარგი ურთიერთობები აქვს რუსეთთან, რაც შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს დიალოგის გამართვა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე.

IMF-ის საგანგებო სტატისტიკა: შემოსავლებიდან მთლიან ხარჯებში სესხების წილით საქართველო ლიდერია მსოფლიოში

სავალუტო ფონდის გამოკვლევით, სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოს მოსახლეობა მისი განკარგვადი შემოსავლიდან ვალების მომსახურებისთვის ყველაზე მეტ ნაწილს იხდის.

2015 წლის მონაცემებით საქართველოს მოქალაქეები საშუალოდ თვეში ვალების მომსახურებისთვის მათი განკარგვადი შემოსავლის 21.5%-ს იხდიან. საქართველოს შემდეგ რეიტინგში მეორე ადგილზე ბრაზილიელები არიან, რომლებიც განკარგვადი შემოსავლის 21%-ს იხდიან ვალების დაფარვისათვის. რუსეთში ეს მაჩვენებელი 17.4%-ია, აშშ-ში 10.1%. ყველაზე კარგი მდგომარეობა გერმანიაშია, სადაც მოსახლეობა განკარგვადი შემოსავლის 1.5%-ს იხდის ვალების მომსახურებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლამდე საქართველოს მოსახლეობა მისი განკარგვადი შემოსავლიდან მხოლოდ 16%-ს იხდიდა ვალების მომსახურებისთვის. 2016 წლის პირველ კვარტალში ამ მაჩვენებელმა 24%-ს, ანუ განკარგვადი შემოსავლის თითქმის მეოთხედს მიაღწია. ვალების მომსახურების ტვირთის დამძიმება მნიშვნელოვნად უკავშირდება ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, რადგან საქართველოში „დოლარიზაცია“, ანუ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი ძალიან მაღალია და ამ მხრივაც მსოფლიოს ტოპ ათეულში ვართ მეათე ადგილზე სომხეთის შემდეგ.

სავალუტო ფონდის კიდევ ერთი გამოკვლევის მიხედვით, საქართველო თურქეთის შემდეგ მეორე ადგილზეა ბანკის ვალის მქონე მოსახლეობის სიჭარბით. აღმოჩნდა, რომ ჩვენთან ყოველ 1000 ზრდასრულიდან 676-ს აქვს ბანკის ვალი.

ისიც ფაქტია, რომ საქართველო მესამე ადგილზეა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების სიჭარბით სესხების მთლიან მოცულობაში.

მდგომარეობა ნამდვილად საგანგაშოა, როგორ შეიძლება მოვაგვაროთ ეს პრობლემა, ამ კითხვით ეკონომიკის ექსპერტს, მიხეილ დუნდუას მივმართეთ. მისი განცხადებით, მნიშვნელოვანია 5 პუნქტის გათვალისწინება, რომელიც ამ საკითხების მოგვარებაში დაგვეხმარება.

1. უნდა შევასრულოთ სავალუტო ფონდის რეკომენდაცია, უნდა აიკრძალოს საცალო სესხის გაცემა შემოსავლის დადასტურების გარეშე.

2.საცალო სესხის მომსახურების თანხა (ყოველთვიური შენატანი სესხის დასაფარად) არ უნდა იყოს მსესხებლის განკარგვადი შემოსავლის 25%-ზე მეტი არც ერთ შემთხვევაში, ხოლო შინამეურნეობებისთვის რომელთა შემოსავალი წელიწადში 40 000 ლარზე ნაკლებია, სესხის მომსახურება არ უნდა იყოს განკარგვადი შემოსავლის 15%-ზე მეტი.

3.ვისაც შემოსავალი აქვს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, ანუ სავალუტო რისკისაგან დაუზღვეველ შინამეურნეობებს, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე ნაკლებია, სესხი უნდა მიეწოდოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

4. სახელმწიფო პროგრამებით მხარდაჭერილი ბიზნესსესხებიც უნდა გაიცეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

5. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ბიზნეს-სესხის მოცულობა უძრავი ქონების ფასის 80%-ზე დაბალი არ უნდა იყოს“, - აცხადებს მიხეილ დუნდუა.

გაზეთი ბანკები და ფინანსები
28 ნოემბერი 2016 წ. №486

ქალაქ ოზურგეთში ინოვაციური ცენტრი გაიხსნება

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით 50 ინოვაციური ცენტრი და 8 ტექნოპარკი გაიხსნება.

ქალაქ ოზურგეთში ცენტრის გახსნა მაჟორიტარი დეპუტატის არჩილ თალაკვაძის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს.

ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ, ცენტრის ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტის უფროსთან და წარმომადგენლებთან ერთად, ცენტრისთვის ლოკაციის შერჩევის მიზნით, ქალაქში მდებარე რამდენიმე შენობა მოინახულა.

ცენტრის გახსნას ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია თანადაფინანსებით შეუერთდება და ფართის გამოყოფის გარდა, სარემონტო სამუშაოების დაფინანსებაშიც მიიღებს მონაწილეობას.

ცენტრი ხელს შეუწყობს მოსახლეობისთვის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, ცოდნის მიწოდებას. ცენტრში, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება, თანამედროვე ტექნოლოგიების სტანდარტებით მუშაობა შეისწავლოს და სხვადასხვა პროექტზე იმუშაოს.

სარემონტო სამუშაოები ცენტრის ლოკაციის შერჩევის შემდეგ დაიწყება.

ოზურგეთში ევროკავშირის ხელშეკრულების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

ოზურგეთელებს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება კიდევ ერთხელ, დაწვრილებით გააცნეს. შეხვედრა დემოკრატიული ჩართულობს ცენტრში 2 დეკემბერს გაიმართა. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის წარმომადგენლებმა გზამკვლევიც დაარიგეს, რომელიც სოფლის მეურნეობის სექტორისთვისაა განკუთვნილი. როგორც სტუმრებმა აღნიშნეს პროექტის ფარგლებში მსგავსი შეხვედრები სხვა რეგიონებშიც იმართება. შეხვედრების მიზანი რეგიონების მაცხოვრებლებისთვის ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებაზე მეტი ინფორმაციის მიწოდებაა.

შეხვედრაზე ისაუბრეს ხელშეკრულების რაობაზე და ცვლილებებზე, რომელიც მოსალოდნელია მის ფარგლებში, ხელშეკრულების სარგებელზე საქართველოსთვის და გავლენზე სოფლის მეურნეობაში.

გურიაში პროექტის რეგიონული პარტნიორი ფერმერთა ასოციაცია და მარინა სუნგულიაა.

ეკომიგრანტები გურიაში – საჭიროებები და პერსპექტივები

29 ნოემბერს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბისა“ და „I (პირველი) ბლოკის“ ერთობლივი პროექტის შემაჯამებელი შეხვედრის ფარგლებში მოეწყო

„ეკომიგრანტებისა და პოტენციური ეკომიგრანტების საჭიროებათა კვლევის“ პრეზენტაცია. პროექტის გუნდმა შეხვედრის მონაწილეებს ის რეკომენდაციები და მოსაზრებები გააცნო, რაც კვლევის ანალიზის შედეგად ეკომიგრანტების სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამოიკვეთა. კვლევა ჩატარდა 2016 წლის აგვისტოში ქალაქ ოზურგეთსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ასკანაში, მერიაში, ვაკიჯვარსა და მთისპირში.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, ფოტოკონკურსში „ჩემი მეზობელი ემიგრანტი“ მონაწილეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა (14 წლის ასაკიდან). 40-მდე ფოტონამუშევევრიდან შეარჩიეს ეკომიგრანტებისა და პოტენციური ეკომიგრანტების თემატიკასთან დაკავშირებული 27 ფოტო. გამარჯვებულ სამი ავტორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დააჯილდოვა გადაეცა ფულადი ჯილდო 100-100 ლარით.

სოციალური პროგრამის პროექტი, რომლის მიზანი იყო ეკომიგრანტებისათვის ახალი სოციალური პროგრამისა და შიდა სატრანსპორტო რეგულაციების შემოღება, შემუშავდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შედეგად.

არასამთავრობო ორგანიზაციების „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბისა“ და ა(ა)იპ „I (პირველი) ბლოკის“ ერთობლივი პროექტის ეკომიგრანტები გურიაში – საჭიროებები და პერსპექტივები“ მხრდამჭერია დემოკრატიის ინსტიტუტი. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, სახელწოდებით „ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების კამპანია“

ადრეული ქორწინება ტრადიცია თუ უფლებების დარღვევა

ალიონი. 2016 წლის 29 ნოემბერს, ოზურგეთის ახალგაზრდული ცენტრის ინიციატივით ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ლიტერატურულ კაფე „რვას+1-ში“ ფოტოგამოფენა გაიმართა, რომელიც ავტორმა ფოტოჟურნალისტმა დარო სულაკაურმა წარმოადგინა.

გამოფენა ქალთა მიმართ ძალადობის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა.

ფოტოებზე აღბეჭდილი იყო კონკრეტული ისტორიები, რომელზედაც ვრცლად ისაუბრა გამოფენის ავტორმა, მან ყურადღება გაამახვილა ჩვენი ქვეყნის, ცალკეული რეგიონების ტრადიციებზე, რომელიც შესაძლებელია რიგ შემთხვევებში მართლაც არღვევს ქალთა უფლებებს. გამოფენაზე წარმოდგენილი პრობლემის შესახებ ისაუბრა გენდერის სპეციალისტმა სალომე ქინქლაძემ. მან დამსწრე აუდიტორიას განუმარტა ადრეული ქორწინების პრობლემა, რომელიც საკმაოდ აქტუალურია საქართველოში და სხვა ფაქტორებთან ერთად გენდერულ, რელიგიურ, ეთნიკურ თუ რეგიონალურ ჭრილში შეგვიძლია განვიხილოთ.

მნიშნელოვანია, რომ დამსწრე აუდიტორია საკმაოდ აქტიურად ჩაერთო პრობლემის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში, გამოითქვა შეხედულებები საქართველოში ადრეული ქორწინების მიზეზების შესახებ. საუბარი შეეხო მშობლის და სკოლის როლს მოზარდის აღზრდის საკითხში.

გამოფენა ორგანიზებული იქნა "ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის" [**PITA**] ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (**UNAG**) მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციაა - „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი.

ვასო ჩიგოგიძე: - ოთხი ათეული წლის წინათ დადგმული ეს სპექტაკლი დღესაც აქტუალურია

ოზურგეთის თეატრის მცირე დარბაზში ზადდება მომავალი პრემიერა.

შენობის კაპიტალური რეაბილიტაციის დაწყების შემდეგ სასაუბრო და სიახლეები დაუგროვდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ვასო ჩიგოგიძეს:

,,წელს გავაახლეთ და გავაცოცხლეთ მცირე დარბაზი, სადაც უკვე 100 მაყურებელი ეტევა., გვაქვს ამფითეატრი და ფაქტობრივად უკვე ყველა ადგილიდან ჩანს სცენა. შეიქმნა ძალიან კარგი, კომფორტული, თანამედროვე სათეატრო სივრცე იმ შესაძლებლობით რასაც გვაძლევს არსებული შენობა.

ვმუშაობთ ორ პრემიერაზე, ერთია ლაშა თაბუკაშვილის ,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია'' და მეორე – კლდიაშვილის ,,მსხვერპლი,'' რომელზეც მუშაობს რეჟისორი ოთარ კუტალაძე. ამ სპექტაკლის პრემიერა ქართული თეატრის დღეს, 14 იანვარს შედგება.

რაც შეეხება სპექტაკლს ,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია'' ის იყო ლაშა თაბუკაშვილის, ჩემი თაობის, ცოტა ასაკოვანი მაყურებლის ჰიტი. რუსთავის თეატრის ეს სპექტაკლი, რეზო ჩხიკვიშვილისა და ეკა ქუთათელაძის მონაწილეობით იყო საოცრება. ლაშა ქართული თეატრის ერთ-ერთი უპოპულარესი დრამატურგია დღემდე, მისი ლიტერატურა არის საოცრად სულიერი და ძლიერი. მისი პიესები ჩემს თვალწინ იქმნებოდა და გარკვეულწილად მეც ჩართული ვიყავი, ლაშა ყოველთვის მაკითხებდა და ვუზიარებდით აზრებს ერთმანეთს. სურვილი მქონდა მეც დამედგა თავის დროზე და როცა გაჩნდა ეს სათეატრო სივრცე, მაშინვე ამოტივტივდა ეს სურვილი, მოდი დავიწყოთ ლაშა თაბუკაშვილით. მას ჩვენ არაერთხელ მივუბრუნდებით ამ სცენაზე. მინდა მერწმუნოთ, რომ ჩვენი მაყურებელი დიდ სიამოვნებას მიიღებს ოზურგეთის თეატრის სპექტაკლით.

მართალია, ეს სპექტაკლი ოთხი ათეული წლის წინათ დაიდგა, მაგრამ დღევანდელ ახალგაზრდობასაც აქვს მის მიმართ ინტერესი, უფროს თაობას, რა თქმა უნდა, რომელიც გაიხსენებს რეზო ჩხიკვიშვილის, ეკა ქუთათელაძისა და შემდგომში ნინელი ჭანკვეტაძის ბრწყინვალე სახეებს. აქამდე ჩვენ გვქონდა მხოლოდ ზღაპრები დაწყებითი კლასის პატარებისათვის, ხოლო ამ სპექტაკლს ვთავაზობთ ჩვენი პარტნიორი სკოლების უფროსკლასელებს. სამწუხაროდ, ამ ასაკის მაყურებლისათვის ჩვენ თითქმის არ გვქონდა სპექტაკლი. არადა თეატრი ვალდებულია ყველა თაობის მაყურებლის ინტერესები გაითვალისწინოს, ვინაიდან ჩვენი თეატრი ერთადერთი სივრცეა პროფესიულ თეატრებს შორის მთელს რეგიონში.

სპექტაკლში გვყავს ძალიან კარგი შემადგენლობა დაკავებული. დარწმუნებული ვარ, რომ სრული ანშლანები გვექნება. ძალიან გვიყვარს ჩვენი მაყურებელი, გვიყვარხართ, გელით ყოველთვის და ვფიქრობთ, რომ შექსპირის, იონესკოს, ანუის, დუმბაძის, საოცარი ზღაპრების, რომლებიც ჩვენ დავდგით, განხორციელების შემდეგ კიდევ დავაინტერესებთ მაყურებელს.''

ლია კილაძე,
თეატრის პრეს სამსახური

მადლობა, ბატონო გიზო!



ბატონი გიზო ჟორდანიას გარდაცვალება დიდი დანაკლისი და ტკივილია ჩვენი ქვეყნისათვის, ქართული ხელოვნებისათვის, ოზურგეთის თეატ-რისათვის, რომელსაც ბატონმა გიზომ თურმე თავისი სიცოცხლის ბოლო თვეებში, დიდი მეგობრობა და შესანიშნავი სპექტაკლი აჩუქა.

სამწუხაროდ, ბოლო პრემიერა რომელიც თქვენ შექმენით და დადგით ეს იყო ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე.

ბატონო გიზო, მადლობა თქვენი განვლილი ცხოვრებისათვის, მადლობა მეგობრობისა და მხარში დგომისათვის, მადლობა კონკრეტულად ოზურგეთის თეატრის სახელით.

მახსოვს ჩვენი პირველი საუბრები ოზურგეთის თეატრში თქვენს მობრძანებასთან, მოწვევასთან დაკავშირებით. საოცრად აგენთოთ თვალები და შინაგანი კმაყოფილებით შეხვდით ჩემს წინადადებას, მითუმეტეს, რომ ქართულმა თეატრმა იცის რა რთული იყო თქვენგან პერიფერიაში, თბილისს იქით გასვლა. არ ვგულისხმობ ბათუმს, რადგან იქ თქვენი ცხოვრების ერთი დიდი ნაწილი შედგა. ჩემს კოლეგებს არ სჯეროდათ, რომ წამოხვიდოდით ოზურგეთში.

ჩვენ გვქონდა ყოველდღიური კონტაქტები, შემოგთავაზეთ, რომ პირველი "ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი" თქვენი პრემიერით უნდა გახსნილიყო. თქვენს თვალებში ცოტა გაოცება და შინაგანი სიხარული დავინახე, მაგრამ მეუბნებოდით - არა, შენ ხარ სამხატვრო ხელმძღვანელი და შენი სპექტაკლით უნდა გაიხსნას ფესტივალი და როცა მე დაგარწმუნეთ, რომ ფესტივალი სწორედ გიზო ჟორდანიას პრემიერით უნდა გახსნილიყო, შედგომში თქვენ მრავალ ინტერვიუში დააფიქსირეთ - ვასომ მისი სპექტაკლით კი არა ჩემი პრემიერით გახსნა ფესტივალიო.

არასოდეს დამავიწყდება თქვენი გურიაში ჩამობრძანება, თქვენ ხომ ორი თვე ჩემს სახლში ვხოვრობდით. თქვენი დამოკიდებულება ჩემი ოჯახის მიმართ. თქვენში ძალიან მაღალი ზნეობრივი სული ცხოვრობდა.

თქვენი მუდამ გაქითქითებულ თეთრი პერანგი, თეთრებში გამოწყობილი გიზო ჟორდანია და თქვენი ყოველი გამოჩენა აშშვენებდა ოზურგეთს, ოზურგეთის თეატრს... ფეხით გაუყვებოდით გზას ჭადრების ბაღის გავლით ჩემი სახლიდან თეატრისაკენ. მთელი ოზურგეთი გესალმებოდათ. ხუთწუთიანი გზაა, მაგრამ ხანგრძლივი და ბევრის მომცველი გახადეთ ის. როგორ შეაყვარეთ თავი ოზურგეთსა და გურულებს, როგორი ღრმა და ბრძნული სიტყვა წარმოთქვით ჩვენი თეატრის სცენიდან ჩემს წარდგინებაზე, როცა ოზურგეთის საკრებულოში მაჟორიტარ დეპუტატად უნდა მეყარა კენჭი, და ბოლოს, როგორი სიყვარულით გვიყვარხართ და გვიყვარებით მეც და ოზურგეთის თეატრს და თქვენი მადლიერება არასოდეს დამავიწყდება, თუმცა ჩვენ ბევრი ვერფერი შევძელით.

ჩვენი თეატრი გულწრფელად აღიარებს და ამბობს, რომ ორი თვის განმავლობაში თქვენი ჩატარებული ყოველი საოცარი რეპეტიციები, იყო მასტერ კლასები, აღტაცებული იყო ჩვენი მსახიობები, დირექცია, შემოქმედებით-ტექნიკური პერსონალი, ვისაც საშუალება გვქონდა ვიჯექით დარბაზში თქვენს რეპეტიციებზე, სცენაზე კი თქვენთან მთელი დასი იყო.დაუვიწყარია, როგორ ეფერებოდით თქვენ ჩვენი თეატრის უფროს და შუა თაობას, როგორი მეგობრობა გქონდათ ახალგაზრდებთან.

თეატრმა ცრემლით გაიხსენა ის დღეები, მიყვებოდნენ როგორ პატიჟებდით თქვენ მათ და გიზაროდათ მათთან სუფრის გაზიარება და მოფერება.

ივლისში, პრემიერის შემდგომ ფესტივალი არ დაგიტოვებიათ, თუმცა მე გითხოვეთ, მაგრამ არც თქვენ გინდოდათ წასვლა და საფესტივალო ყველა სპექტაკლს დაესწარით. ფესტივალი ლიტვურ-ქართული კოპროდუქტით "გამარჯობა, ხალხო!" დავხურეთ და თქვენ მოგიწვიეთ სცენაზე, დაუვიწყრია მოკრძალების და მორიდების გამომხატველი თქვენი თვალები, თითქოს მე რა შუაში ვარო. შუაში კი არა, თქვენ იყავით შშვენება ჩვენი ფესტივალის.

სამწუხაროა, რომ ჩვენი მოლაპარაკება, რომ მეორე "დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალიც" თქვენი პრემიერით, ახალი სპექტაკლით გახსნილიყო, ვეღარ შედგება... მაგრამ ოზურგეთის თეატრი და მე გაძლევთ კაცურ სიტყვას, რომ სანამ შესაძლებელი იქნება თქვენი სპექტაკლი ყოველთვის გაჟღერდება ყველა შემდგომ ფესტივალზე, შევეცდებით რუდუნებით შევინახოთ იგი.

ბატონი გიზო ჟორდანიას დადგმული "ბოშები" იქნება ჩვენი ფესტივალის ერთ-ერთი სახე. "ბოშებს" თბილისშიც ჩამოვიტანთ, შევეცდებით საქართველოს ყველა კუთხეში ვითამაშოთ რომ ფართო საზოგადოებამ ნახოს დუმბაძის "ბოშების" თქვენი ინტერპრეტაცია. შევეცდებით, რომ ეს სპექტაკლი თქვენს სიდიადეს, თქვენს დიდკაცობას, თქვენს დიდ პროფესიონალიზმს მივუძღვნათ და თქვენი ხსოვნისა იყოს ეს თქვენი ბოლო პრემიერა.

დიდ მადლობას მოგახსენებთ, გვიყვარხართ ბატონო გიზო, ოზურგეთის თეატრი, რომელიც ახლა კაპიტალურ რესტავრაციაზე დგას, და იმედი მაქვს ორ-ორ წელიწად ნახევარში გაიხსნება, თქვენი "ბოშებიც" აუცილებლად დიდგმება თქვენი ხსოვნისადმი მიძღვნილი მადლიერების ნაშნად ჩვენი ახალი სათეატრო სივრცის გახსნის დროს.

ვასო ჩიგოგიძე, ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

არის თუ არა ოზურგეთი 170 წლის ქალაქი

ვპასუხობ დავით მელუას მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სტატუსს, რომელშიც ავტორი არ იზიარებს მკვლევართა აზრს, რომ ოზურგეთი 170 წლის წინათ დაარსებული ქალაქია.

ბატონო დავით!

დაგვიანებით გპასუხობ, თუმცა უნდა გითხრათ, რომ ,,დღედაღამ'' ნამდვილად არ მიფიქრია, რათა იმთავითვე მეპასუხა თარიღების უტყუარობის შესახებ. ახლა დავკონკრეტდეთ:

1. დასახლებულ პუნქტსა და ქალაქის ოფიციალურ სტატუსს შორის რა განსხვავებაც არსებობს, ამას კარგად გაიგებთ შოთა მესხიას წიგნში ,,საისტორიო ძიებანი'', I,II, III ტომი. სამივე ტომი მაქვს, შემიძლია გათხოვოთ. რა თქმა უნდა, ქალაქის კლასიკური გაგებით (მოგეხსენებათ, ქალაქს თავისი კრიტერიუმები გააჩნია) და არა გამოანგარიშებით (ისტორიაში არსებობს ასეთი პრეცედენტი). არასერიოზულად კი, როგორც მეუბნებიან, ზოგიერთ ოზურგეთელს ეზოში თურმე 170 წლის ხეჭეჭური ჰქონია (ახლა ხეჭეჭურის მსხლის მერქნის ხაზებით მარჩიელობა არ გვარგებს).

2. დიახ, 1840 წლის 10 აპრილს რუსეთის იმპერატორის პროექტის თანახმად, ამიერკავკასია ორ ნაწილად გაიყო: საქართველო – იმერეთის გუბერნიად და კასპიის ოლქად. საქართველო – იმერეთის გუბერნია (ცენტრი თბილისი) გაიყო 11 მაზრად. ამ ადმინისტრაციულ დაყოფაში მეთერთმეტედ მოხსენიებულია გურიის მაზრა (გურის ყოფილი ოლქი), ცენტრით ოზურგეთი. რუსმა მოხელეებმა გურიის მხარე ორ პოლიტიკურ უბნად დაჰყვეს: პირველი – ოზურგეთი, მეორე – აკეთი, თავიანთი საზღვრებით და სოფლებით. ამ პოლიტიკურ უბნებად დაყოფის მიზანი იყო ის, რომ ოზურგეთი ახლო მდებარეობდა ქობულეთის სანჯაღთან და ამ დაყოფით პოლიციის უფროსი კონტროლს ადვილად დააწესებდა. ამ პერიოდისათვის ოზურგეთი ქალაქად მოხსენიებული არ არის. ამ პირველმა ადმინისტრაციულმა დაყოფამ არ გაამართლა და 1846 წლის 14 დეკემბერს მოხდა საქართველოს ხელახალი ადმინისტრაციული დაყოფა. მოკლედ, ოზურგეთს მიენიშა სამაზრო ქალაქის სტატუსი და შევიდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში.

1896 წლის დეკემბერში ოზურგეთმა მიიღო თვითმმართველი ქალაქის წოდება.

3. 1841 წელს გლეხთა ავჯანყების დაწყების მიზეზით თქვენეული შეფასება არა მგონია სწორი იყოს. არსებობს მრავალი ლიტერატურა, მათ შორის პროფესორ იური სიხარულიძის საკანდიდატო ნაშრომი: ,,1841 წლის გურიის გლეხთა ავჯანყება'' (შემიძლია გათხოვოთ).

4. რაც შეეხება ხეჭეჭურ მსხალს, დემირას და თურაშაულის პატრონების გასაგონად ვამბობ პირდაპირი გაგებით, სანამ ჩვენ ყველანი ერთად არ წავსულვართ ტყეში ,,პანტის საძებნად'', იქნებ მოხერხდეს და თქვენი მეგობრები სათავეში ჩაუდგნენ გურიაში უკვე გადაშენების გზაზე მდგარ ხეჭეჭურის, თავრუჯოლას, დემირას, ნაცარას (შავი ვაშლი) მოშენების საქმეს და გააარიჩინონ ეს ჯიშები სრულ განადგურებას. მოგეხსენებათ, გურული ვაზის ჯიშების მოშენებაზე უკვე ზრუნავენ კონკრეტული ადამიანები.

და ბოლოს, ძირითადი საკითხი: რამდენიმე დღის წინ ვიზეიმეთ ოზურგეთის საქალაქო დღესასწაული ალეგრობა-ოზურგეთობა. თქვენ რატომღაც გვერდი აუარეთ მას, გაატარეთ \ალეგრობა, რომელიც განივთებულია ოზურგეთობის დღესასწაულში და აქცენტი აიღეთ თარიღებზე, რომელიც ისედაც ყველასათვის ცნობილია.

შეგახსენებთ, ,,ალეგრობის'' აღნიშნა ტრადიცია იყო ოზურგეთში და, მოგეხსენებათ, ტრადიციას თარიღი არ აქვს. ოზურგეთობა-ალეგრობა, საქელმოქმედო დღესასწაულის ელემენტებით, მთელი ქალაქის ზეიმი იყო. აღნიშნული დღესასწაული შემოგვინახა ქალაქის ყოფილმა ვიცე-მერმა ,აწ განსვენებულმა თენგიზ კუნჭულიამ. თქვენი არ ვიცი და მე რომ წავიკითხე მისი წიგნი ,,ქალაქი და ტრადიციები'' (გამოიცა 1999 წელს) მოსვენება დავკარგე, ვფიქრობდი, როგორ შეიძლებოდა ამ დღესასწაულის აღდგენა-გაცოცხლება. პირველი, რაც ისტორიულმა მუზეუმმა გააკეთა, ეს იყო 2006 წლის დეკემბერში ოზურგეთის სამაზრო ქალაქად გამოცხადების 160 წლისთავის აღნიშვნა. შემდეგ გაზეთ ,,გურია ნიუსში'' გამოვაქვეყნე წერილი სათაურით ,,თბილისქალაქობა გურულების მოგონილი ყოფილა, ანუ ალეგრობა ოზურგეთში.'' ზოგიერთი ჟურნალისტი ამის შესახებ იმასაც წერდა, შევარდნაძემ ალეგრობა გურულებს მოპარაო. მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, არაფერი გამომდიოდა. ერთხელ ჟურნალისტ თემურ მარშანიშვილს ვუთხარი ამის შესახებ. მან მირჩია: ვასო ჩიგოგიძე ახლა აქეთ არის და ნახეო.

დავიწყე ბატონ ვასოსთან ,,ჩემი მასალებით'' სიარული დილით ადრე ვაკითხავდი, მერე სად ვნახავდი. მადლობა უფალს, მისი თაოსნობით, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, აგერ, 3-4 წელია ოზურგეთი აღნიშნავს ალეგრობას.

იმ დღეს ჭადრების ბაღში ვიდექი ჩემთვის და გულში სითბო მეღვრებოდა, როცა ალეგრობის ისტორიას გადმოსცემდნენ ღონისძიების წამყვანები (ჩემთვის ვფიქრობდი, ამ საქმეშუ სულ პაწაწინა წვლილი მეც ხომ მიმიძღვის-მეთქი.).

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანს, ნათელი დაადგეს მის ხსოვნას, ვინაც ასე სათუთად და სიყვარულით შემოგვინახა ეს დღესასწაული და სხვა მრავალი ოზურგეთული ტრადიციები, მისი ახალგაზრდობის დროს რომ სუფევდა ამ ჩვენს პატარა ქალაქში, რომლის 170 წლისთავიც აღვნიშნეთ და დასულ ისეთი თბილი ამინდი დაგვესწრო, როგორიც ამ დღესასწაულს ეკადრება. 170 წლის კი არა, 170 დღის რომ იყოს ჩვენი ქალაქი, მაინც პატივისცემა და დაფასება გვმართებს იმიტომ, რომ ჩვენია, მშობიდიურია. ისევ თემურ მარშანიშვილის სიტყვები მახსენდება: ,,ჩემი ღელის ვიჭერ ღორჯოს, სხვისი ჩქერის კალმახს რომ სჯობს''.

ჩემი მოკრძალებული აზრით კი, ერთადერთი იმედი, რაც ჩვენი ქალაქის ისტორიას დაეძველებს, ეს უნდა იყოს ოზურგეთის ცენტრში აბანოს ნაშთების გათხრების გაგრძელება (აღმოაჩინეს 1957 წელს რესტორან ,,იზაბელას'' მშენებლობის დროს). შესაძლებელია, რაიმე ისეთი ნივთი აღმოჩნდეს, რომელიც განსაზღვრას ქალაქის ასაკს, თორემ ხალხურ თქმულებებში გვაქვს, რომ ქალაქს აქვს აბანოები: ,,ქალაქის აბანოები, ბადალი ხმელეთისაო, ძირიდან აშენებული, აუზები აქვს ქვისაო''.

მინდა გაცნობოთ, რომ ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი 2017 წლიდან იწყებს პროექტს ,,ოზურგეთის ქუჩების ისტორიები''. პროექტის ასისტენტი გახლავთ პროფესორი იური სიხარულიძე. შემოგვიერთდით, მოგვაწოდეთ საინტერესო წინადადებები, მასალები, ლეგენდები, თქმულებები.

ვფიქრობ, ამით კიდევ უფრო გავამდიდრებთ ჩვენი ქალაქის ისტორიას.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი.

ჩაიოტი (მექსიკური კიტრი) პერსპექტიული საკვები კულტურაა



კაცობრიობა სასწაული ტემპით იზრდება. თანამდეროვე მსოფლიო 6,8 მილიარდ ადამიანს ითვლის. ამ რაოდენობის ადამიანის გამოკვება დედამიწას უჭირს. ყოველივე ამას ემატება გაუთვალისწინებელი კატაკლიზმები, ბუნებრივი დათბობა, რომელიც ზღვრულ დონეს უახლოვდება, ნახშირბადის დიდი რაოდენობით დაგროვება, რომელიც ქუდივით ერტყმის დედამიწას. მიწისძვრები , უძლიერესი ციკლონები. ყინულთა დნობა არქიპელაგებსა და უმაღლეს მწვერვალებზე, რომლებიც ყოველწლიურად დნობის შედეგად პატარავდება. ყოველივე ეს წლების შემდეგ გამოიწვევს მტკნარი წყლის ნაკლებობას. ყოველი ჩვენგანის აუცილებელი მოვალეობაა ყოველდღიურად ვზრუნავდეთ საკვები კულტურის ახლებურ სიტუაციაში მოძიებისა და გამოყენებისათვის.

მითუმეტეს დღევანდელ დღეს , როცა უმუშევრობაა, პენსიონერის პენსია 180 ლარია (70 აშშ დოლარამდე).

მოთხოვნილება გაცილებით მეტია და უნდა მოხდეს სასურსათო კალათის შევსება. მოზრდილი მამაკაცის მინიმალური სასურსათო კალათა-25 000 კილოკალორიაა . იგი აკმაყოფილებს ადამიანის მინიმალურ მოთხოვნებს ცილებზე, ნახშირწყლებზე, ცხიმებზე და სხვა.

განა არსებული პენსია საკმარისია ყოველივე ამისთვის?

ამასწინათ შევთავაზე პენსიონერებს მიწავაშლა და მისი სიკეთე. ამჟამად შევჩერდები ჩაიოტას (მექსიკური კიტრი) საუკეთესო კვებით ღირებულებასა და მის მაღალმოსავლიანობაზე. ერთი ძირი მცენარე იბამს 250-300 ცალ ნაყოფს. თითოეული ნაყოფი 400 გრამამდე იწონის. ჩაიოტი არის მაღალი, ხეზე ამყოლი მცენარე. მისგან ამზადებენ სალათს, ამჟავებენ. აქვს საუკეთესო გემოვნება. გამოიყენება ოჯახში ისევე, როგორც ბადრიჯანი.

ჩაიოტის ნაყოფი იჭმევა ნედლად, მოთუთქულად და დაკონსერვებულად, მურაბამარინადის სახით. ნაყოფი შეიცავს სახამებელს, შაქარს, ცილებს, ცხიმებს, აგრეთვე **C** ვიტამინს, კაროტინს **A** ვიტამინს და მინერალურ ნივთიერებებს. ჩაიოტის კერძები გემრიელი და ნოყიერია. ერთი-ორი მცენარე ნებისმიერი ოჯახისათვის საკმარისია.

მოსავლის აღების შემდეგ ჩამხმარ მცენარეს გადავჭრით მიწის ზედაპირიდან 10-15 სმ სიმაღლეზე. შევფუთავთ თივით ან ხმელი ფოთლებით. ზემოდან დავაფენთ პოლიეთილენის პარკს, რომ წყალი არ ჩაუვიდეს და ძირი არ გაიყინოს. მომავალ წელს მცენარე თავისით აღმოცენდება. ერთი და იმავე ადგილას მცენარე შეიძლება გავაჩაროთ 4-5 წელიწადს. რაც უფრო ძველია მცენარე მით მეტ მოსავალს გვაძლევს.

პენსიონერთა კავშირის გამგეობა შეეცდება მომავალ წელს ჩაიოტი ყველა სოფელს მიაწოდოს ქოთანში დაფასოებული, რომ მათი გაზარება შეძლონ. მომავალ წლებში კი თავის მეზობლებს მიაწოდონ ჩაიოტის თესლი გავრცელებისთვის. გისურვებთ წარმატებულ საქმიანობას.

გურამ ცერცვაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ანზორ ბურჭულაძე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

საგრანტო პოლიტიკა ჩვენს სინამდვილეში

ნუკრი ნიკოლაიშვილი

2 დეკემბერს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა დისკუსია თემაზე, თუ როგორ იცნობენ ამ ორგანიზაციას გურიის რეგიონში.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

დისკუსიას უძღვებოდა აღნიშნული თემის კოორდინატორი ეკა ერქომაიშვილი.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ბოლო დროს ჩვენს სინამდვილეში ფეხმოკიდებული ანტიდასავლური ტენდენციის განეიტრალებისა და გაქარწყლების აუცილებლობაზე.

ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აქ უსათუოდ ანგარიშგასაწევია სამთავრობო, არამთავრობო თუ მესამე სექტორის ნიჰილიზმი საზოგადოებრივი ჩართულობისადმი, მათი არასაკმარისი ინიციატივები საზოგადოებრივი საქმიანობისადმი.

ბევრ ქართულ რეგიონში კვლავაც შეინიშნება გულგრილი დამოკიდებულება ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული პრობლემების მიმართ.

სამიზნე ჯგუფების კონკრეტულ მიზანდასახულობასა და მითების რეალობისაგან გამიჯვნის მნიშვნელობას მიაპყრო შეკრებილთა ყურადღება ნოდარ ტანგიაშვილმა.

შეხვედრაზე ასევე ითქვა მიმდინარე საგრანტო პროექტების უაღრეს მნიშვნელობაზე ჩვენს სინამდვილეში.

სკანვორდი





№ 48-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — გივი ბერიკაშვილი; მესამე პირის ნაცვალსახელი — იგი; სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტში — ანაგა; გაზაფხულის თვე — მაისი; ცვარი — ნამი; ორი ასი — ორასი; საქონლის სადგომი ადგილი ბოსელში — ბაგა; ... კოშკელიშვილი — ნუკი; სამი გოლი ერთ მატჩში — ჰეტთრიკი; საქართველოს მგოსანი — აკაკი; საფესტივალო ქალაქი ლატვიაში — იურმალა; ჩიტების ჟრიამული — რია; ნოტი — ლა; კონკურსი — ტენდერი; ნისლი — ბურუსი; ერთ-ერთი ქართული ბანკი — თიბისი; კარგი ამინდი — დარი; სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში — ინტაბუეთი; სპორტული ნავი — კანოე; ბერძნული ცეკვა — სირტაკი; უკრაინის საკანონმდებლო ორგანო — რადა; სახრე — შოლტი; წერილის ჩასადები — კონვერტი; ცხენის ჩლიქის დამცავი — ნალი; რუსული თვითმფრინავი — კუკურუზნიკი; ერთიანი ნარდში — იაქე; ძვირფასი ქვა — ქარვა; შევარდნაძის სოფელი — მამათი; დენის საზომი ერთეული — ვატი; უბანი ოზურგეთში — სერი; ქართული საცხენოსნო სპორტი — ისინდი; მდინარე შორეულ აღმოსავლეთში — ამური; ბელგიის დედაქალაქი — ბრიუსელი.

გურულთა და გურიელთა წვლილი 1877-1878 წლების რუს-ოსმალოს ომში ქვემო გურიის და აჭარის დედა სამშობლოსათვის შემოერთების საქმეში

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ №47-48, 2016წ.

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი

ოზურგეთის რაზმის ძირითად ადგილსამყოფელს ოზურგეთი წარმოადგენდა. ოზურგეთი იყო ლელვაზე, მუხა-ესტატეზე, ქობულეთ-ხუცუბანზე, ციხისძირზე, ჩაქვსა და ბათუმზე, შეტევის ძირითადი პლაცდარმი.

აქ ცხოვრობდნენ, აქ იყვნენ დასახლებულნი საუკუნეთა განმავლობაში ოსმალოს მფლობელობაში მყოფი ოსმალოს საქართველოს გურული თანამოძმენი, რომელთა შესახებაც გაზ. დროება წერდა.

„ჩვენი ქართველების უმთავრესი ყურადღება ამ ნაწილის დროს უნებლიეთ ოსმალეთის საქართველოს არის მიქცეული. რასაკვირველია, ჩვენთვისაც საყურადღებოა და საინტერესოა, თუ როგორ მიდის და როგორ გათავდება ბრძოლა დუნაის ნაპირებზე და ყარსისაკენ, მაგრამ ყველაზე უფრო გურიაში და ოსმალეთის საქართველოს საზღვარზე ომიანობის საქმე შეგვეხება.

ეს ბრძოლა უფრო ახლოს არის ჩვენს წინ, ეს უფრო საგრძნობელია ჩვენთვის, ამას უფრო კარგად ვხედავთ, რადგან ჩვენ ცხვირწინ ხდება.

... ჩვენი განხრახვა თავიდანვე ომის დაწყებისთანავე უნდა იყოს პირველად ისე, რომ ბათუმი დავიჭიროთ და მეორედ ისე, რომ წავართვათ ბათუმიდან კავკასიაში შემოსასვლელი გზები.

ბათუმის წართმევას დიდი მნიშვნელობა ექნება ომიანობის დროს, თუ ბათუმი ჩვენს ხელში იქნება, მაშინ ოსმალებს შავ ზღვაზე თითქმის შეკრული ექნებათ გზები; იმას ვეღარ შეუძლიან მაშინ, რომ თავისი ქვეყნიდამ ჯარი გამოიყვანოს... ჩვენსკენ გამოსაგზავნად. ოსმალები მაშინ იძულებული იქნებიან სადმე სხვა ადგილას გადმოიყვანონ თავის ჯარები ზღვის ნაპირზე და ეს ხომ იმთავითვე ძნელი და მოუხერხებელი იქნება.

გურიიდან ბათუმზე მხოლოდ ერთი გზა არის, მხოლოდ ზღვის ნაპირით, ამ გზის დასაჭერად აუცილებლად საჭიროა, რომ სადმე ჩვენ ჯერ კინტრიშის მინდორი და ციხისძირის სიმაგრე ჩავიგდოთ ხელში. ამის შესრულება ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან, როდესაც ადგილობრივი მაცხოვრებლები არ გვეწინააღმდეგებიან..

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქალაქი ოზურგეთი და მისი გარეშემონი იმთავითვე ყურადღების ცენტრში მოექცა, ქალაქი აივსო ქართული სახალხო ლაშქრისა და რეგულარული სამხედრო შენაერთების ძალებით, ოფიცრები, სამხედრო კორესპოდენტები, მოვაჭრეები, რომლებიც კვალდაკვალ დაჰყვებოდნენ ჯარის ნაწილებს, ესოდენ გარდამეტებული სიმრავლე ხალხის, თავისა, გაჩენის დღიდან ნამდვილად არ ახსოვდა ოზურგეთს.

სერგეი მესხი წერდა: „ქუთაისიდან ოზურგეთს მიმავალმა, როგორც მოგახსენებთ, ჯერ რკინის გზით სამტრედიამდე უნდა მივიდეს. მერე აქედამ ტროიკით ოთხი სტანცია უნდა გაიაროს და ამნაირად უნდა მიბრძანდეს გურიის სატახტო ქალაქს ოზურგეთში.

ვისაც ნახევარი წლის განმავლობაში არ უნახავს სამტრედიის სტანცია, ვერ იცნობს, ისეთი მოძრაობაა, ისეთი ფაციფუცია, სხვადასხვა წოდების და ხელობის ხალხისა; ყველანი კი ფულის მაძიებელნი არიან, ყველა ესენი ისე დაჰყვებიან რუსების ატრიადს, როგორც ტარბი კალიას. აქ გამართულია სხვადასხვა საქონლის, ჯარის სურსათისაა და თივის და სხვა ამგვარის გადასატან-გადმოსატანი კანტორები“, უანგარიშო ურმები, დიდძალი ნაირ-ნაირი საქონელი ვაგონებზე...

მთელს გზაზედ, სამტრედიიდან მოყოლებული ოზურგეთამდე შეხვდებით ჯარის სურსათითა და თივით დატვირთულ ურმებსა და ცხენებს.

ნაშუადღევს 2 საათზე, ჩვენ მოველით ოზურგეთს. ადვილად შიგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ეს მშვიდობიანი, მიყრუებული ქალაქი ახლა სამხედრო ქალაქად უნდა იყოს გადაქცეული, რადგან ორ ნაბიჯზედ აქედან ბრძოლის ველი იწყება.

მართლაც, საითაც არ გახედავთ, ყველაფერი ომსა და მხედრობას მოგაგონებთ: ზედ ქალაქის თავში დაბანაკებულია რამდენიმე ბატარეა, თავის ცხენებითა, აუარებელი აფიცრებით, დიდძალი რიცხვი (სახალხო მოლაშქრეების) მილიციონრებისა და კიდევ უფრო მომეტებული სალდათობა.

ოზურეგთშივე იმყოფება ამჟამად მთელი რაიონის ატრიადის მთავარსარდალი ღენერალი-მაიორი და ამ შტაბის უფროსი პოლკოვნიკი კრავკიჩი., ქობულეთის ატრიადის სარდალი გენერალ მაიორი დენიბეგოვი (დანიბეგაშვილი), და ამ შტაბის უფროსი პოლკოვნიკი (გაბრიელი) ყაზბეგი, მთელი ჯარით მუხა-ესტატეში არიან დაბანაკებული.

თუმცა სამტრედიიდან მოსულები (55 ვერსტის მანძილზე) ოზურგეთში ისეთნაირად ვიყავით ტროიკისგან გალახულნი, თუმცა ტროიკამ ისეთნაირად გვჯეჯა,... თუმცა წვიმისაგან ძვლამდი გაწუწულები ვიყავით, ჩვენი სურვილი, რომ საჩქაროთ მუხა-ესტატე გვენახა, ისეთი ძლიერი იყო რომ მზად ვიყავით იმწამსვე წავსუილყავით ოზურგეთიდან ბანაკში, საიდამდინაც 19 ვერსია ცხენით სავალი გზა.

საუბედურად, ჩვენი სურვილი ვერ შეესრულეთ, რადგან იმ დღეს მუხა-ესტატეში მიმავალი არავინ იყო და (გამყოლის) გარეშე არავის უშვებდნენ. თითქმის დღე არ გაივლის თურმე რომ ოზურგეთსა და მუხა-ესტატეს შუა, არ დახვდნენ მარტოდ, უიარაღოთ მიმავალ ხალხს... და რაც რამ საქონელი გაჩნიათ და ხან საკუთარი სიცოცხლეც არ წაართვან ოსმალოს მომხრენი და იმათ სამსახურში მყოფნი ჩაუვდებიან გზის ნაპირას, ტყეში უყარაულებენ მოგზაურებს და თუ ვინმე „უბნად“(მარტოდ მარტო) დაინახეს ან თავის საფრიდან ესვრიან თოფს, ან თავმოგზაური სრულიად უიარაღოდ გამოუვარდებიან, დაეცემიან, ხშირად თავს გაგდებინებენ, გასძარცვავენ და მირბიან...

ჩვენდა ბედად ქობულეთის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი (გაბრიელ) ყაზბეგი, ჩვენ რომ ჩავედით, იმ დროს ჩოზურგეთში იყო მოსული რაღაც საქმის გამოისად, და მეორე დღეს მუხა-ესტატეში დაბრუნებას აპირებდა.

... დილის ათი საათი იქნებოდა, როცა ჩვენ ყველა, ვინც მუხა-ესტატეში ვაპირებდით წასვლას ოზურგეთის მოედანზე შევიკრებენით, სადაც ამჟამად გამოჭიმულია თავად დიმიტრი გურიელის სასახლე.

..ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ... შევუერთდით ქობულეთის ატრიადის შტაბის უფროსს (გაბრიელ) ყაზბეგს, რომელმაც მარდად შემოაჭენა ცხენი (ოზურგეთის) მოედანზე და თავისი ამალით -(12 სახალხო მოლაშქრე) მილიციით და ყაზახრუსით გამოსწია ჩვენსკენ...

(დავიძარით მუხა-ესტატესაკენ) ოზურგეთიდან მუხა-ესტატემდე 15 ვერსია და თითქმის ყოველ ორ-სამ ვერსზე, გამაგრებულ მაღლობის ადგილებზე ჩვენი პიკეტები, ყარაულები დგას, თითო ალაგს ასი (ან) ორასი კაცი, მომეტებულად გურიის (სახალხო ლაშქრის) მილიციონერები, რომლებიც საჩქაროდ გაკეთებულ ბანაკებში ფაცხებში დგანან, ქარი ყველგან ქრის ამ ფაცხებში, მზე ყველგან აცხუნებს და წვიმა თავისუფლად ჩამოდის...

ოზურგეთიდან მომავალს მუდამ თვალწინ უდგია„ მარცხვივ სხვა გარშემო მთებზე ერთი ორად მაღალი... მთა ჯიხანჯირი, რომელიც ხუთ-ექვს ვერსზე იქნება აქეთ, -ოზურგეთისაკენ.

... ჩვენი გზა გადაჭრის მდინარე ჩოლოქს, უფალმა ყაზბეგმა გვიჩვენა ჩვენ ის ჩოლოქის ველი სადაც 1854 წელს თავადმა ივანე ანდრონიკაშვილმა 16 000 კაცით დაამარცხა 80 000 -იანი თათრის ჯარი....

რუსეთ-ოსმალეთის ომს, მის მსვლელობას„ გურულ მოლაშქრეთა სიჩაუქეს დიდად აფასებდა და ქვეყნიერებას აცნობდა სანკტ-პეტერბურგის გაზეთი „ჟოლოსი“ რომლის სპეციალურ კორესპონდენტსაც 1887 წელს ევროპიდან ახლად დაბრუნებული გიორგი წერეთელი წარმოადგენდა. ამ მიზნით ხსენებული გაზეთის ლიბერალური მიმდინარეობის რედაქტორთა აა. კრავსკისა და ვა. ბილბანოვის მიერ აკრედიტირებულმა გიორგი წერეთელმა იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში, მოინახულა ოზურგეთი, გავიდა ფრონტის ხაზზე, იმყოფებოდა თვით მუხტარ-ფაშას დალი ბაშებით მიერ გამაგრებულ ქალაქ ბათუმში.

მისი წერილები ერთობ პოპულარული იყო საქართველოს გარეთ მყოფ მკითხველთა ფართო წრეებში. გარდა „ჟოლოსისა“ გიორგი წერეთლის კორესპონდენციები იბეჭდებოდა „ტფილისკი ვესტნიკსა“ და გაზეთ „დროებაში“. წერილებში ავტორი ქადაგებდა „ოსმალოს ქართველებს“ დედა სამშობლოსთან შეერთების აუცილებლობას. .

„აღმოსავლეთის საკითხის“ მორიგი გამწვავების ნიადაგზე წარმოქმნილი ომის მთელი სიმძიმე ოზურგეთიდან ბათუმის მიმართულებით გურიის რაზმს დააწვა„ რომელსაც შემდგომში ქობულეთის რაზმი ეწოდა, თუმცა მასში მარტოდ ქართული სახალხო ლაშქარი-მეტწილად გურულები იყვნენ გაერთიანებულნი და არცერთ ქობულეთელს მათ საბრძოლო ბატალიებში მონაწილეობა არ მიუღიათ. პირიქით, ისლამის რჯულზე შემდგაი რენეგატები: ძმები: ალი და ოსმან ფაშა თავდგირიძეები გააფრებული, ფანატიკური გასელებით იბრძოდნენ თავიანთ თანამოძმეთა გამოსახსნელად იარაღასხმულ გურულ მოლაშქრეებს. ზოგიერთი შეხედულებით ალი ფაშა თავდგირიძეს დიდ წყენა ჰქონდა ჩადებული გულში რუსობის მიმართ და მათი ჯავრის ამოყრის მიზნით არც მტერს ინდობდა და არც მოყვარეს. თანახმად გადმოცემისა, რაც იმთავითვე დასტურდება ისტორიული წყაროებით:

„ქობულეთის ბეგები იყვნენ თავდგირიძეთა გვარიდან. ეს თავდგირიძეები ერთ დროს გურულების ვასალები იყვნენ, უკანასკნელი ასეთი ვასალი იყო მამუკა თავდგირიძე, რომელიც თურქების მიერ გაძევებული იქნა ქობულეთიდან 1782 წელს, იგი შეეცადა იმერთა მეფის სოლომონ პირველის დახმარებით დაებრუნებინა ქობულეთი, მაგრამ სოლომონ პირველი ჩაქვის ბრძოლაში დამარცხდა. მამუკას ადგილი თურქოფილმა მაქსიემ თავდგირიძემ დაიჭირა, რომელმაც მუსულმანობა მიიღო, სულთან სელიმის (1782-1807) დროს თავდგირიძეების გვარიდან იგი პირველი გახდა ფაშად. ქობულეთის ფაშობის ისტორიაც აქედან იწყება.

მაქსიმეს შემდეგ ფაშობდა მისი შვილი მემედ ფაშა, რომლის შვილებმაც:

ალი ფაშამ, ოსმან ფაშამ, ხუსეინ ბეგმა. ხასან ბეგმა საკმაოდ გაითქვა სახელი. რუსეთ-ოსმალოს აღმოსავლურ ომებში მეზობელთ-ოზურგეთის ქვეყანის მკვიდრთა დავიწროებაში გადმოგვცემენ: ხასან ფაშას უმცროსი ძმა-ალი ფაშა თავდგირიძე, რომელსაც არა ერთი და ორი მრუდე საქმე ჰქონდა ნაკეთები მანამდე რუსის ხელისუფლებისა და მონათესავე გურულების წინააღმდეგ. 1848 წელს გადმოვიდა გურიაში, მივიდა გრიგოლ და ლევან გურიელებთან და მათვე განუცხადა: თუ რუსები ჩემს მამულებს, რომლებიც ოსმალეთის მთავრობამ წამართვა, დამიბრუნებენ, და პენსიასაც დამინიშნავენ, ქობულეთის ხალხს ავაჯანყებ და გურიას შევერთებით.

ხსენებულმა გურულებმა ალი ფაშა წარუდგინეს მაშინდელ ქუთაისის გუბერნატორს, რომელსაც ამ წინადადებაზე ხმაც არ ამოუღია, ალი ფაშასთან, აჩუქა მას საჩოხე მაუდი და უკან გამოისტუმრა.

უკანასკნელი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში ალი ფაშა და მისი ძმის ოსმან ფაშასთვის ოსმალეთის მთავრობას, კერძოდ დერვიშ ფაშას, რუსეთის მომხრეობა და ღალატი დაუწამებია, რაც მათ თავად განუცხადა, კერძოდ სერგეი მესხიძესთან პირად საუბარში ოსმან ფაშას განუცხადებია.

„„ისე ბრძოლა და შეტაკება არ ყოფილა აქეთკენ, რომ ჩვენ წინ არ ვყოფილიყავით და გვებრძოლა... თორმეტი წლის ყმაწვილები გამოვიყვანე, რაც ღონე და შეძლება მქონდა, ყველაფერი ხვანთქარს ვანაცვალე, და ამი? შემდეგ დერვიშ და ჩვენი ხელმწიფის ღალატს და თქვენს მომხრეობას გვწამებს. ყველგან ჩვენ ვიყაით და დერვიშ ფაშა ხვანთქარს მოხსენებას უგზავნიდა, რომ ნიზამები იმარჯვებენო.

როგორც ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, ალი ფაშას მართლაც ჰქონდა მოლაპარაკება რუსეთის სარდალთან, მაგრამ დაპირებული თანხები ვერ მიუღია, რის გამო რუსთაგან პირი უბრუნებია და ისევ ოსმალთა ერთგულება შეუნარჩუნებია. სტამბოლსაც დანაშაული უპატიებია, მაგრამ ოსმალოფილურად განწყობილი წრეები მის მიმართ უკმაყოფილონი დარჩენილან, მათ მიერ შექმნილა ალი ფაშას შესახებ შემდეგი სიმღერა:

ალი ფაშამ გვიღალატა, აგვიყვანა კვირიკეთში,

თვითონ ფულები ეიღო, ჩვენ ჩაგვყარა რუსის ხელში,

კარგი არც მას დამართნია, ბაწრით ჩაათრიეს გემში,

მისი ყვირილი ისმოდა სუფსის გაღმა ბაილეთში.

ენვერ გოგუაძე

სულთათანა

ნორა ჩავლეშვილი-დოლიძე

ორმოცი დღის წინ სოფელმა უკანასკნელ გზაზე გააცილა გამორჩეული დედა, ოჯახის, ნათესავების, მეგობრების, ახლობლების საყვარელი ქალბატონი ნორა ჩავლეშვილი-დოლიძე, ქალი, რომელიც იყო დიდი შრომისმოყვარე, ავკარგიანი, სიკეთით სავსე, ყველას რომ გულწრფელი სიყვარულით ხვდებოდა, რაც მისი შინაგანი სითბოს გამოძახილი იყო.

ქალბატონმა ნორამ, აწ გარდაცვლილ მეუღლე დუნიკო დოლიძესთან ერთად, შექმნა შესანიშნავი ოჯახი და აღზარდა ორი ღირსეული შვილი, რომლებიც დაოჯახებული არიან და ავტორიტეტით სარგებლობენ. აღსანიშნავია, რომ ქალბატონმა ნორამ და დუნიკომ რამდენიმე ათეული წელი ადამიანურად, პატიოსნებით იმუშავეს თავიანთი პროფესიით, რითაც თანასოფლელთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს.

წავიდნენ ჩვენგან ოჯახისა და სოფლის წინაშე ვალმოხდილი ადამიანები. მჯერა, მათი შვილები, შვილიშვილები ღირსეულად ივლიან მშობლების, ბებიისა და ბაბუას გაკვალულ გზაზე და არასოდეს დაივიწყებენ ამ ორი შესანიშნავი ადამიანის ხსოვნას.

ნოდარ დონაძე

ნინელი კალანდაძე, გულსუნდა მახარაძე, ნინო სალუქვაძე თანაუგრძნობენ ლია, მადონა, თედო ჩიტაიშვილებს დედის **ელზას** გარდაცვალების გამო.

გურიის XXI ჩემპიონატი ჭადრაკში

ოზურგეთის სპორტის სასახლეში ერთ კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა გურიის ჩემპიონატი ჭადრაკში., , რომელშიც რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტი 2-2 ყველაზე წარმატებული მოჭადრაკით იყო წარმოდგენილი. ამჯერად ჩემპიონატი ორწრედ გაიმართა, ანუ მეტოქეები შავი და თეთრი ფიგურებით ხვდებოდნენ ერთმანეთს. პირველი წრის შემდეგ ჩემპიონობის შანსები 5 მოჭადრაკემ -ქორიძემ, გოგოლაურმა, გვარჯალაძე,მ ხუხუნაიშვილმა და სიამაშვილმა შეინარჩუნ თუმცა მათ შორის უფრო გამოკვეთილი ქორიძე და გოგოლაური იყო. ფინიშის სწორზე ქორიძემ გოგოლაურთან დამბული პარტიის მოგებით, პირველ წრეში მასთან დაკარგულ ქულაზე რევანში აიღო და ბოლო ტურის წინ, ნახევარი ქულის უპირატესობით ცხრილის თავში მოექცა. მას გივი სიამაშვილთან დარჩენილ პარტიაში ყაიმიც ყოფნიდა, რომ მესამედ გამხდარიყო ჩემპიონი. მართალია ამ პარტიის ნებისმიერი შედეგი გივის სატურნირო მდგომარეობას არ ცვლიდა, მაგრამ თუ მოიგებდა, მაშინ ოზურგეთელი გოგოლაური ხდებოდა ჩემპიონი. მისთვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ძალზე დაძაბულ და საინტერესო პარტიაში შეძლო მეტოქის დამარცხება და ოზურგეთელი ჭადრაკის გულშემატკივრების გულიც მოიგო. ასე, რომ გიორგი გოგოლაური მეორედ გახდა რეგიონის ჩემპიონი. სხვათაშორის მგავსი სიტუაცია იყო შარშანაც, როცა მან ჩემპიონობასთან ნახევარი ქულით დაშორებულ ლანჩხუთელ . ხუხუნაიშვილს სძლია, თვითონ ვიცე-ჩემპიონი გახდა, ხოლო გოგოლლაური კი ჩემპიონი.

მესამე საპრიზო ადგილს ბოლო ტურში ერთმანეთს ლანჩხუთელები ნუგზარ გვარჯალაძე და ტარიელ ხუხუნაიშვილი შეეცილნენ. მათ 8-8 ქულა ჰქონდათ დაგროვილი და ურთიერთ შეხვედრაში გვარჯალაძეს ყაიმიც ყოფნიდა. პარტიაც თითქოს მისი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ცაიტნოტში ტარიელმა ზუსტი თამაშით შეძლო მოგებს ჭადრაკის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლე ინფორმაცია უკვე ჩატარებულ ჩემპიონატებში გამარჯვებულების შესახებ:

I ჩემპიონატი, 1995 წ, ოზურგეთი, 9 მონაწილე – ამირან ბერძენიშვილი (ჩოხატაური).

II ჩემპიონატი, 1996 წ, ოზურგეთი, 12 მონაწილე – ნუგზარ გვარჯალაძე (ლანჩხუთი).

III ჩემპიონატი, 1997 წ, ოზურგეთი,7 მონაწილე – რუსუდან ჭკუასელი (ლანჩხუთი).

IV ჩემპიონატი, 1998 წ, ლანჩხუთი, 12 მონაწილე – რუსუდან ჭკუასელი (ლანჩხუთი).

V ჩემპიონატი, 1999 წ, ლანჩხუთი, 14 მონაწილე – რუსუდან ჭკუასელი (ლანჩხუთი).

VI ჩემპიონატი, 2000 წ, ოზურგეთი, 13 მონაწილე – თორნიკე ხვედელიძე (ოზურგეთი).

VII ჩემპიონატი, 2001 წ, ოზურგეთი, 16 მონაწილე – ნუგზარ გვარჯალაძე (ლანჩხუთი).

VIII ჩემპიონატი, 2002 წ, ლანჩხუთი, 12 მონაწილე – მინდია ჩხიკვიშვილი(ოზურგეთი)

IX ჩემპიონატი, 2003 წ, ოზურგეთი, 12 მონაწილე – ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი).

X ჩემპიონატი, 2004 წ, ოზურგეთი, 11 მონაწილე - ნუგზარ გვარჯალაძე (ლანჩხუთი).

XI ჩემპიონატი, 2005 წ, ოზურგეთი,12 მონაწილე – ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი).

XII ჩემპიონატი, 2007 წ, ლანჩხუთი, 12 მონაწილე - ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი).

XIII ჩემპიონატი, 2008 წ, ოზურგეთი, 16 მონაწილე – ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი).

XIV ჩემპიონატი, 2009 წ, ლანჩხუთი, 16 მონაწილე – ტარიელ ხუხუნაიშვილი(ლანჩხუთი)

XV ჩემპიონატი, 2010 წ, ოზურგეთი, 16 მონაწილე – ტარიელ ხუხუნაიშვილი(ლანჩხუთი)

XVI ჩემპიონატი, 2011 წ, ჩოხატაური, 12 მონაწილე – გივი ქორიძე (ჩოხატაური)

XVII ჩემპიონატი, 2012 წ. ქ.ოზურგეთი 13 მონაწილე-გივი ქორიძე (ჩოხატაური)

XVIII ჩემპიონატი, 2013 წ. ქ.ოზურგეთი- 12 მონაწილე-დავით ცეცხლაძე (ოზურგეთი)

XIX ჩემპიონატი, 2014 წ. ქ.ოზურგეთი -12 მონაწილე- მინდია ჩხიკვიშვილი (ოზურგეთი)

XX ჩემპიონატი, 2015 წ. ქ.ოზურგეთი - 12 მონაწილე-გიორგი გოგოლაური (ოზურგეთი)

XXI ჩემპიონატი, 2016 წ. ქ.ოზურგეთი - 8 მონაწილე-გიორგი გოგოლაური (ოზურგეთი

ჩემპიონობა სულ 10 მოჭადრაკეს აქვს მოპოვებული, მ.შ. 4 ლანჩხუთელია, 4 ოზურგეთელი და 2 ჩოხატაურელი., ყველაზე მეტჯერ (4-ჯერ ვაჟთა შორის!) გამარჯვება ლანჩხუთელმა ქრისტინე მჟავიამ იზეიმა. წარმოშობით იგი ოზურგეთელია (კონჭკათი) და ამჟამად ოჯახთან ერთად ქ. ახალციხეში ცხოვრობს . თუმცა ყველაზე ტიტულოვანი მაინც ნუგზარ გვარჯალაძეა, რომელმაც ჩემპიონობა სამჯერ მოიპოვა და საპრიზო სამეულში 12-ჯერ შევიდა. მკითხველთათვის შესამჩნევია, რომ 21 ჩემპიონატიდან 12-ჯერ ლანჩხუთელებმა მიაღწიეს გამარჯვებას. როგორც ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელმა ზურაბ ანდღულაძემ განმარტა, ეს უპირატესობა ძირითადად 90-იანი წლებიდან მოდის, როცა რეგიონში ოსტატობის კანდიდატის წოდებაა მხოლოდ ნუგზარ გვარჯალაძე და ტარიელ ხუხუნაიშვილი ფლობდნენ ისინი 30 წელზე მეტია მწვრთნელებად მუშაობენ და პარალელურად სტაბილურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო და რესპუბლიკურ საჭადრაკო ღონისძიებებში. აქვე შენიშნავთ, რომ ბოლო წლებში პირველობას (ზედიზედ 4-ჯერ!) ოზურგეთელები აღწევენ.

ჩემპიონატის დახურვაში მონაწილეობა მიიღო გურიის მხარის გუბერნატორის მოადგილემ ,ბატონმა გია ებრალიძემ. წარმატებულ მოჭადრაკეებს ფულად ჯილდოებთან ერთად გადაეცათ თასი, სპეციალური დიპლომები და ფასიანი საჩუქრები. ს/ს ' იმედის" დირექტორმა ოლეგ გობრონიძემ სპეციალური პრიზი გადასცა გურიის 2015 წლის ვიცე-ჩემპიონს და ამჯერად სამეულს მიღმა დარჩენილ გივი სიამაშვილს, რომელმაც ჩემპიონატის ფინიშზე გივი ქორიძესთან მოგებით ხელი შეუწყო ჩოხატაურში წასასვლელად გამზადებული თასი ოზურგეთში დარჩენილიყო. ოზურგეთელი ჯემალ კეჭაყმაძის ახლადგამოცემული წიგნები საკუთარი ავტოგრაფებით გადაეცა ჩემპიონატის სამივე პრიზიორს.

N	მონაწილენი	1	2	3	4	5	6	7	8	ქულა	ადგ.
1	სიამაშვილი გივი (ოზურგეთი)		0,5 0	1 0,5	0,5 0,5	0,5 0	0 0	0 1	1 1	6,5	V
2	გვარჯალაძე ნუგზარი(ლანჩხუთი)	0,5 1		1 1	0,5 0,5	0 0	1 0	0,5 0	1 1	8	IV
3	ცხომელიძე კარლო (ჩოხატაური)	0 0,5	0 0		1 1	1 0	0 0	0 0	1 1	5,5	VI
4	ურუშაძე ელგუჯა (ოზურგეთი)	0,5 0,5	0,5 0,5	0 0		0 0	0,5 0	0 0	0 1	3,5	VII
5	გოგოლაური გიორგი (ოზურგეთი)	0,5 1	1 1	0 1	1 1		1 1	1 0	1 1	11,5	I
6	ხუხუნაიშვილი ტარიელ(ლანჩხუთი)	1 1	0 1	1 1	0,5 1	0 0		0 0,5	1 1	9	III
7	ქორიძე გივი (ჩოხატაური)	1 0	0,5 1	1 1	1 1	0 1	1 0,5		1 1	11	II
8	ტაკიძე ვლადიმერ (ოზურგეთი)	0 0	0 0	0 0	1 0	0 0	0 0	0 0		1	VIII

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2" გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

რ

ლიხაურის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ზღაპრების სამყაროში ხეტიალს არ იშლიან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის დაწესებულებებში – საბავშვო ბაღებში გრძელდება „ზღაპრის კვირეული".

გასული კვირის ორშაბათს, 28 ნოემბერს, „ალიონს" შესაძლებლობა ჰქონდა ლიხაურში დასწრებოდა ამ ისტორიული სოფლის საბავშვო ბაღის უმცროსი ასაკის (3-4-წლიანი) აღსაზრდელთა წარმოდგენას

„მოხეტიალე მუსიკოსები" – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელშიც ლიხაურელმა პატარებმა სიამოვნებით იხეტიალეს და ამ ხეტიალით დამსწრე საზოგადოებასაც დიდი სიამოვნება მიანიჭეს.

სპექტაკლში 30-მდე ბავშვი მონაწილეობდა და ცალკეულად რომელიმეს გამორჩევა ძალიან ძნელია. ოცდაათივემ შესანიშნავად აუღო ალღო მსახიობისათვის აუცილებელ თვისებებს – გრაციულობას, გარდასახვას, იმპროვიზაციას, ფანტაზიას, მაყურებელთან კონტაქტს. რაც მთავარია, ისინი ბოლომდე გაიხარჯნენ თავიანთი გმირების განსახიერებისათვის და დაუფასდათ კიდეც ამაგი – აპლოდისმენტები და სამახსოვრო სიგელები დაიმსახურეს.

სცენარი რუსული ზღაპრის მიხედვით ბაღის მენეჯერმა ნათია გობრონიძემ დაწერა, ხოლო დადგმა აღმზრდელმა თინა გაფრინდაშვილმა ითავა

ლიხაურელ „მოხეტიალე მუსიკოსებს" მაღალი შეფასება მისცეს სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის წარმომადგენლებმა. სპექტაკლს ასევე ესწრებოდნენ და პატარებს გულშემატკივრობდნენ სოფლის თავკაცები – გამგებლის წარმომადგენელი მერაბ საუქვაძე და სოფლის მაჟორიტარი დეპუტატები კახა გობრონიძე.

ნათია გობრონიძის თქმით, როგორც წინა ღონისძიებები, ისე ეს სპექტაკლი ვერ შედგებოდა, რომ არა ამ ხალხის ყოველდღიური ყურადღება და დიდი ძალისხმევა.

საქართველოს ჩემპიონატი კარატეში

27 ნოემბერს ქ. სენაკში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კარატეში, რომელშიც მონაწილეობდნენ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის კარატისტები. 14-15 წლის მონაწილეთა შორის 57კგ წონით კატეგორიაში ნიკა დარჩია მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. მწვრთნელი შოთა ღლონტი.

ვულოცავთ საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორობას ნიკას და ვუსურვებთ უფრო დიდ წარმატებებს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

5 დეკემბერი ორშაბათი	6 დეკემბერი სამშაბათი	7 დეკემბერი ოთხშაბათი	8 დეკემბერი ხუთშაბათი	9 დეკემბერი პარასკევი	10 დეკემბერი შაბათი	11 დეკემბერი კვირა
წვიმა, -1+4	წვიმა, -3+1	ღრუბელი- 2=4	თოვლი -4+2	წვიმა თოვლით -3 0	მზე, ღრუბელი -1+6	თოვლი +1+5